პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2025 წლის __ ნოემბერი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-ს მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-ს ანგარიში 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-ს“ ანგარიში 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-ს მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირი
"წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე
განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი"

წერილის ნომერი: **34-482531492**
თარიღი: **10/11/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" 2025 წლის I და II კვარტალში შესრულებული სამუშაოების ანგარიშს.

დანართი 4 ფურცელი.

პატივისცემით,

ლევან ნემსაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე
განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი-მმართველი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

Levan
Nemsadze
53001000421

Digitally signed by
Levan Nemsadze
Date: 2025.11.10
13:52:14

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ მიერ 2025 წლის პირველ-მეორე კვარტალში გაწეული მუშაობის

ანგარიში

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“ ფუნქციონირებს 2024 წლის 14 მარტიდან. სამსახურის საშტატო განრიგი განისაზღვრება 139 თანამშრომლით. მათ შორის ადმინისტრაცია -18 შტატით, გარე-განათების მართვის სერვისი - 18 შტატით, გამწვანება-განაშენიანების მართვის სერვისი 86 შტატით და წყალარინების სისტემისა და სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობის სერვისი - 17 შტატით.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“ მომსახურებას უწევს მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიებისა და დასახლებების გამწვანება-განაშენიანებას, იცავს ხე-ნარგავებს მოხეტიალე პირუტყვისაგან. ახორციელებს მუნიციპალურ საკუთრებაში მოქცეული კომუნალური და კეთილმოწყობითი კომუნიკაციების მართვა-მოწესრიგებას, ცივი ტბის და მისგან მომდინარე არხების მოვლა–პატრონობას, სანიაღვრე არხების, გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფასა და სხვადასხვა კეთილმოწყობით სამუშოებს.

2025 წლის პირველი-მეორე კვარტლის განმავლობაში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ მიერ შესრულებულია შემდეგი სახის სამუშაოები:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილების საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიჭრა გამხმარი, ფაუტიანი და ავარიული ხეები. ქალაქის ტერიტორიაზე დაქირავებული ამწე-კრანისა და ამწე-კალათის საშუალებით გადაიბელა ჭადრის, ალვის და კატალპის ჯიშის ხეები, ხოლო მიღებული საშეშე მერქანი მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცათ სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

ბენზოცელების და ბალახის სათიბი მანქანების საშუალებით გაიცელა ქალაქის ქუჩები, სკვერები, კუნძულები, ცენტრალური პარკი.

თებერვლის თვეში დიდთოვლობის დროს ცენტრი გადავიდა 24-საათიან სამუშაოზე. თოვლის საფარისაგან გათავისუფლდა ხე-მცენარეები, წაქცეული ხეების შედეგად საფეხმავლო და საავტომობილო გზების გათავისუფლება-გაწმენდა ხორციელდებოდა ოპერატიულად. ასევე, სპეც-ტექნიკის საშუალებით ხდებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან.

ქალაქისა და ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე არსებულ მცენარეების ფესვთა სისტემების გასაძლიერებლად შეტანილი იქნა ტორფი და მინერალური სასუქები. ბალახის გასახმობი ხსნარებით შეიწამლა ცენტრალური პარკის

ტერიტორიის ნაწილი. ასევე, განხორციელდა ხე-ნარგავებისა და ბუჩქების შემობარვა. კირის ხსნარით შეიღება მარადმწვანე ხე-ნარგავები.

ქალაქის ტერიტორიაზე დაირგო 30 ძირი სმარაგდა, 30 ძირი ვერცხლისფერი კვიპაროსი, 6 ძირი ფოტინია და 5 ძირი ბზა.

რუსთაველის ქუჩაზე გაისხლა კვიპაროსები და სმარაგდები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მერიისაგან მითითებულ ქუჩებში დაიგო სიჩქარის შემზღუდველი გორაკები.

ქალაქის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხორციელდება შემოვლითი სამუშაოები მოხეტიალე პირუტყვის აღკვეთის მიზნით. უმეთვალყურეოდ მიტოვებული პირუტყვების მეპატრონეებს დაეკისრათ საჯარიმო სანქციები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: კერძოდ, ქალაქის ტერიტორიაზე დემონტაჟი გაუკეთდა საახალწლო ნაძვის ხეებსა და საახალწლო დეკორატიულ განათებებს, ტაბიძის ქუჩებზე ახლებით შეიცვალა 100-ვატიანი სანათები, ლორთქიფანიძის ქუჩაზე ნაწილობრივ ძველი სანათები შეიცვალა ახლით, 9 აპრილის ქუჩაზე დამონტაჟდა 2 ახალი ბოძი, ცენტრალური პარკისა და რუსთაველისა ქუჩაზე შეიცვალა არსებული დაზიანებული დროსელზე მომუშავე სოდიუმის 150 ვატიანი ნათურები.

ქალაქის ტერიტორიაზე შეიცვალა დაზიანებული გარე განათების ბოძები, ელექტრო სადენები და კრონშტეინები. მკვებავ კარადებში შეიცვალა დაზიანებული ელექტრო მოწყობილობები (ელექტრო ამომრთველები, იგნიტორები, ელექტრომაგნიტური გამშვებები და ფოტორელეები).

ქუთაისი-წყალტუბოს დამაკავშირებელ ცენტრალურ გზაზე შეიცვალა დაზიანებული ელ-ლამპიონები და ჩიპ ნათურები.

სოფლებში (გუმბრა, ბანოჯა, ხომული, გუმბრა, გუმბრინი, ცხუნკური, ყუმისთავი, ქვილიშორი, წყალტუბო, გუბისწყალი, ქვილიშორი, ცხუნკური, ჩუნეში) შეიცვალა დაზიანებული ეკოლამპიონები და ეკონათურები. შეიცვალა, ასევე, კარადები, ელექტრო სადენები და ელექტრო მოწყობილობები.

სოფლებში (მუხიანი, საყულია, ოფშკვითი) შეიცვალა დაზიანებული ეკოლამპიონები.

სოფლებში (მაღლაკი, ფარცხანაყანევი, გეგუთი, , პატრიკეთი, მესხეთი) შეიცვალა დაზიანებული ეკო ლამპიონები, ნათურები, ელექტრო სადენები და ელექტრო მოწყობილობები.

ქალაქში რუსთაველის ქუჩაზე ძველი ამორტიზირებული სანათები (სულ 350 სანათი) შეიცვალა ახალი თანამედროვე ტიპის ენერგოეფექტური სანათებით.

ქუთაისი-წყალტუბოს დამაკავშირებელ ცენტრალურ გზაზე შეიცვალა დაზიანებული ელ-ლამპიონები და ჩიპ ნათურები.

ჭავჭავაძის, კოლხეთის, ყაზბეგის, ლორთქიფანიძის და გურამიშვილის ძველი ამორტიზირებული განათების ბოძები (სულ 36 ბოძი) შეიცვალა ახალი გარე განათების ბოძებით.

ქვიტირის ცენტრალურ მაგისტრალზე დაზიანებული დროსელზე მომუშავე სანათები შეიცვალა ახალი ენერგოეფექტური სანათებით. შიდა პარკის ტერიტორიაზე მეექვსე აბაზანიდან სამკაპის ჩათვლით დაზიანებული სოდიუმის ნათურები, დროსელები, იგნიტორები, ავტომატები და ფოტორელეები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ გარე განათების ქსელში პერიოდულად მიმდინარეობდა დაზიანებული ელექტრო კარადების, ელექტრო სადენების, კრონშტეინების, ელექტრომაგნიტური გამშვებების, ელექტრო ამომრთველების, ფოტორელეების, სანათებისა და ნათურების შეცვლა.

პერიოდულად იწმინდება სანიაღვრე არხები ქალაქის ქუჩებისა და ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე. თებერვლის თვეში გადაუღებელი წვიმების დროს ჩვენმა სამსახურმა ოპერატიულად მოახდინა სანიაღვრე არხების ცხაურების გაწმენდა, რამაც საშუალება მისცა მოვარდნილ ნაკადს მეტი გადინების საშუალება ჰქონოდა, რის შედეგადაც ქალაქის რიგი ტერიტორიები დატბორვას გადაურჩა.

გაიწმინდა ქალაქის ცენტრალურ პარკში მდებარე ფანტანები.

შეკეთდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასმელი წყლების მილები სოფელ ქვილიშორის, სოფელ ჩუნეშის, სოფელ ხომულისა და ცენტრალურ პარკში ფანტანების ტერიტორიაზე.

ქალაქის ტერიტორიაზე გრეიდერის და ექსკავატორი საშუალებით ჩატარდა გაწმენდითი სამუშაოები.

ცენტრის ბალანსზე რიცხული სპეც. ტექნიკის საშუალებით ხორციელდება სტიქიურად შექმნილი ნაგავსაყრელების აღება.

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი"-ს 2025 წლის 1- 2 კვრტალში მისაღები სუბსიდია გეგმით განისაზღვრა 1615987 ლარი, დაზუსტებული 1615987 ლარი, მიღებული არის 1508042 ლარი. ხარჯები გეგმით განისაზღვრა1675732 ლარი, დაზუსტებული 1675732 ლარი, გახარჯული არის 1562962ლარი.

2025 წლის 01 ივლისისთვის დასაქმებულია 138 თანამშრომელი, მ/შორის ქალი -8, კაცი - 130

2025 წლის ანგარიშით სახელფასო ფონდში განსაზღვრული იყო 864067 ლარი, დაზუსტებული არის 864067 ლარი, გახარჯული არის 843141 ლარი. შესრულებული არის 97.58 %

მივლინების მუხლში განსაზღვრული იყო 2000 ლარი, დაზუსტებული არის 2000 ლარი, გახარჯული არის 1092 ლარი. შესრულებული არის 54.6 %

ოფისის ხარჯების მუხლში განსაზღვრული იყო 53070 ლარი, დაზუსტებული არის 53070 ლარი, გახარჯული არის 44773 ლარი. შესრულებული არის 84.37 %

რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში განსაზღვრული იყო 5000 ლარი, დაზუსტებული არის 5000 ლარი, გახარჯული არის 4998 ლარი, შესრულებული არის 99.96 %.

ტრანსპორტის ტექნ. და იარაღის ექსპლ. და მოვლა-შენახვის მუხლში განსაზღვრული იყო 283650 ლარი, დაზუსტებული არის 283650 ლარი, გახარჯული არის 271590 ლარი. შესრულებული არის 95,74 %.

სხვა დანარჩ.საქონ. და მომსახ. მუხლში განსაზღვრული იყო 403700 ლარი, დაზუსტებული არის 403700 ლარი, გახარჯული არის 337225 ლარი. შესრულებული არის 83,53 %.

დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების მუხლში განსაზღვრული იყო 5000 ლარი, დაზუსტებული არის 5000 ლარი, გახარჯული არის 4975 ლარი. შესრულებული არის 99.5 %.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში განსაზღვრული იყო 95900 ლარი, დაზუსტებული არის 59745 ლარი, გახარჯული არის 54920 ლარი, შესრულებული არის 91.92 %.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი"-ს

მმართველი: /ლ.ნემსაძე/

421283113

ბუღალტერი: /თ.აფხაძე/